საქართველოს მთავრობის

დადგენილება №201

2025 წლის 9 ივნისი

ქ. თბილისი

„საქართველოს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ნუმერაციის ეროვნული სისტემის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 18 ნოემბრის №355 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ნუმერაციის ეროვნული სისტემის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 18 ნოემბრის №355 დადგენილებაში (სსმ, №154, 25/11/2010) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ნუმერაციის ეროვნული სისტემის დებულების“:

1. დანართი №2 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი №2

ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების არაგეოგრაფიული ნუმერაციის ზონების კოდები, აბონენტის ნომრის სიგრძე და ნუმერაციის რესურსი

№	არაგეოგრაფიული ზონის კოდები (NDC)	კოდების რაოდენობა	აბონენტის ნომრის სიგრძე (SN)	ნუმერაციის რესურსის დანიშნულება
1	200-299	100	XX XXXX	რეზერვი
2	500-599	100	XX XXXX	ფიჭური სისტემის მობილური ელექტრონული საკომუნიკაციო კავშირის ქსელებით მომსახურების ორგანიზებისა და მოძრავი აბონენტების ტერმინალური მოწყობილობების იდენტიფიცირებისათვის
3	600-699	100	XX XXXX	რეზერვი
4	700	1	XX XXXX	პერსონალური ნომრებით მომსახურებისათვის
5	701-705	5	XX XXXX	მომსახურების სხვადასხვა სახეობისათვის
6	706-707	2	XX XXXX	VOIP – ინტერნეტპროტოკოლით ხმოვანი სატელეფონო კავშირით მომსახურებისათვის
7	708-729	2 2	XX XXXX	მომსახურების სხვადასხვა სახეობისათვის
8	730-739	10	–	ფიჭური სისტემის მობილური ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების სააბონენტო ნომრების პორტაბელურობისათვის

9	740 X-759 X	20	–	ფიქსირებული ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების სააბონენტო ნომრების პორტაბელურობისათვის
10	760-779	20	–	ფიჭური სისტემის მობილური ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების სააბონენტო ნომრების პორტაბელურობისათვის
11	780-799	20	XX XXXX	უსადენო შეღწევის სისტემის ქსელებით, მათ შორის, ფიჭური პრინციპით მომუშავე ქსელებში ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების ორგანიზებისა და ამ ქსელებში აბონენტების ტერმინალური მოწყობილობების იდენტიფიცირებისათვის
12	800	1	XX XXXX	ინტელექტუალური ქსელებით უფასო მომსახურებისათვის
	801	1	XX XXXX	ინტელექტუალური ქსელებით განაწილებული ხარჯებით მომსახურებისათვის
	802-899	98	XX XXXX	ინტელექტუალური ქსელებით მომსახურებისათვის
13	900-909	10	XX XXXX	დამატებითი ფასიანი მომსახურებისათვის
	910-999	90	XX XXXX	მომსახურების სხვადასხვა სახეობისათვის.“.

2. დანართ №3-ის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით;

ბ) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების ცხელი ხაზების ნუმერაცია:

ორგანოების დასახელება	მოკლე ნომრები
საქართველოს პარლამენტი	141
საქართველოს მთავრობა	151
საქართველოს სამინისტროები	1400-1409, 1500-1509
საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ერთიანი საინფორმაციო სამსახურის ნომერი, რომელიც დროებით გადაეცემა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112-ს“, საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების შედეგად გამოწვეულ მოქალაქეთა პრობლემებთან დაკავშირებულ საკითხებზე ოპერატიული რეაგირების მიზნით ერთიანი სამთავრობო ცხელი ხაზის ამოქმედებისთვის	144
აფხაზეთის (დროებით ქ. თბილისში) ა/რ-ის უმაღლესი საბჭო	1421
აჭარის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო	1422
აჭარისა და აფხაზეთის (დროებით ქ. თბილისში) ა/რ-ების მთავრობები	143

აჭარისა და აფხაზეთის (დროებით ქ. თბილისში) ა/რ-ების სამინისტროები	1450-1459
სახელმწიფო რწმუნებულების ადმინისტრაციები	146
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	1471
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	1472
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ – იუსტიციის სახლი	1474
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პირველადი ჯანდაცვის ექიმების ცხელი ხაზი	1522
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ – საფინანსო-ანალიტიკური სამსახური	1551
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ – შემოსავლების სამსახური	1555; (1552-1554, 1556-1559 გაფორმების ეკონომიკური ზონები)
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო	1420
სსიპ – საპენსიო სააგენტო	1480
საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი	1481
საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ – საერთო სასამართლოების დეპარტამენტი	1482
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო	1483
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი	1499
სსიპ – საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო	1520
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – აწარმოე საქართველოში	1525
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	1545
სსიპ – ანტიკორუფციული ბიურო	1570
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – შრომის ინსპექციის სამსახური	1575
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ცხელი ხაზი	1272
სსიპ – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო	1484

სსიპ – იურიდიული დახმარების სამსახური	1485
საქართველოს მთავრობის რეზერვი	1423-1429, 1486-1489, 1490-1498, 1521, 1523-1524, 1526-1529, 1540-1544, 1546-1549, 156, 1571-1574, 1576-1579, 158-159.“.

მუხლი 2
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**